

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
22.11.2002 წ. N 1772 –I ს დადგენილებით

შეთანხმება
საქართველოს მთავრობასა
და
ბელგიის სამეფოს მთავრობას შორის
საგზაო გადაზიდვების შესახებ

საქართველოს მთავრობა (საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება) და ბელგიის სამეფოს მთავრობა, შემდგომში ხელშემკვრელ მხარეებად წოდებულნი, ესწრაფვიან რა შექმნან უკეთესი შესაძლებლობები თავიანთ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის და განავითარონ გვირთებისა და მგზავრების გადაზიდვებისთვის დამაკმაყოფილებელი პირობები;

ითვალისწინებენ რა ევროპაში მიმდინარე ლიბერალიზაციის პროცესს, რომელიც ხელს უწყობს მომსახურებებისა და გვირთნაკადების თავისუფალ მოძრაობას და პირთა თავისუფალ გადაადგილებას;

მხედველობაში იღებენ რა გარემოს დაცვისა და მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისს, შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი 1
ზოგადი დებულებები

მუხლი 1
სფერო

1. ამ შეთანხმების დებულებები ეხება გვირთებისა და მგზავრების საგზაო გადაზიდვებს ქირავნობით ან ანაზღაურებით, ასევე დამოუკიდებელ გადაზიდვებს (გადაზიდვებს საკუთარი სახსრებით), შეთანხმების მონაწილე მხარეების ტერიტორიებს შორის, გრანზიგად მათ ტერიტორიებზე, ასევე მესამე ქვეყნებიდან ან მესამე ქვეყნებისაკენ, გადამზიდვის მიერ, რომელიც დაფუძნებულია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.
2. ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული სხვა მრავალმხრივი შეთანხმებებიდან.

მუხლი 2
განმარტებები

ამ შეთანხმებაში:

1. ტერმინი “გადამზიდავი” ნიშნავს პირს (იურიდიული პირის ჩათვლით), რომელიც დაფუძნებულია ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და კანონის ძალით უფლებამოსილია დაფუძნების ქვეყანაში აწარმოოს გვირთებისა და მგზავრების გადაზიდვები საერთაშორისო

საგრანსპორტო ბაზარზე ქირაფლობითა ან ანაზღაურების საფასურად, ან დამოუკიდებლად (საკუთარი სახსრებით) შესაგყვისი ეროვნული კანონებისა და წესების შესაბამისად.

2. ტერმინი “საგრანსპორტო საშუალება” ნიშნავს ავტოსაგრანსპორტო საშუალებას, რომელიც რეგისტრირებულია ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ან საგრანსპორტო საშუალებათა კომბინაციას, რომელშიც ავტოსაგრანსპორტო საშუალება (საწევარი) მაინც უნდა იყოს ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, და რომელიც გამოიყენება და აღჭურვილია მხოლოდ და მხოლოდ გვირთების გადასაზიდვად ან მგზავრების გადასაყვანად.

3. ტერმინი “ავტობუსი” ნიშნავს მგზავრების გადასაყვან საგრანსპორტო საშუალებას, რომელიც თავის კონსტრუქციითა და აღჭურვილობით შესაფერისია ცხრაზე მეტი მგზავრის გადასაყვანად მძღოლის ჩათვლით, და გამოიყენება ამ მიზნით.

4. ტერმინი “გადაზიდვა” ნიშნავს საგზაო გადაზიდვებს დატვირთული ან დაუტვირთავი საგრანსპორტო საშუალებით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მარშრუტის რაიმე მონაკვეთზე საგრანსპორტო საშუალება იყენებს რკინიგზას ან საწყალოსნო გრანსპორტს.

5. ტერმინი “რეგულარული საავტობუსო მომსახურება” ნიშნავს მომსახურებას, რომლის დროსაც ხდება მგზავრების გადაყვანა წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით, გრაფიკითა და დადგენილი ტარიფით. მგზავრების ჩასხდომა ან გადმოსხდომა ხდება წინასწარ განსაზღვრულ გაჩერებებზე, და მომსახურება ყველასათვის მისაწვდომია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულოა წინასწარი დაჯავშნა. “სპეციალური რეგულარული საავტობუსო მომსახურებები” წარმოადგენენ რეგულარულ საავტობუსო მომსახურებებს, რომლებიც მისაწვდომია მხოლოდ მგზავრთა გარკვეული კატეგორიებისათვის.

6. ტერმინი “მაქოსებური მომსახურება” ნიშნავს მომსახურებას, რომლის დროსაც განმეორებადი გარეთ მიმართული და დაბრუნებითი რეისების მეშვეობით ხდება მგზავრთა ჯგუფების გადაყვანა გამგზავრების მოცემული ადგილიდან დანიშნულების მოცემულ ადგილამდე. ეს ჯგუფები, რომლებიც შედგება მგზავრებისაგან, რომლებმაც შეასრულეს გარეთ მიმართული რეისი, გადაიყვანება უკან გამგზავრების ადგილამდე მომდევნო რეისით.

“გამგზავრების ადგილი” და “დანიშნულების ადგილი” ნიშნავს შესაბამისად ადგილს, საიდანაც იწყება რეისი და ადგილს, სადაც რეისი მთავრდება, 50 კმ რადიუსის ფარგლების ჩათვლით თითოეულ შემთხვევაში.

“მაქოსებური მომსახურება დაბინავებით” მოიცავს, გადაყვანის გარდა, მგზავრთა არა ნაკლებ 80%-ის დაბინავებას (კვებით ან კვების გარეშე) დანიშნულების ადგილზე და, საჭიროების შემთხვევაში, რეისის განმავლობაში. მგზავრები დანიშნულების ადგილზე უნდა გაჩერდნენ არა ნაკლებ ორი ღამისა.

მაქოსებური მომსახურება დაბინავებით შეიძლება გაწეულ იქნეს გადამზიდავთა ჯგუფის მიერ, რომლებიც მოქმედებენ ერთი და იგივე კონტრაქტორის სახელით, ხოლო მგზავრებს შეუძლიათ:

- დაბრუნდნენ უკან იმავე ჯგუფის, მაგრამ არა იმავე გადამზიდავის მეშვეობით, რომლითაც მათ ისარგებლეს გარეთ მიმართული რეისისას.

- ან, მიუერთდნენ “გზად” იმავე ჯგუფის სხვა გადამზიდავს.

7. ტერმინი “არარეგულარული მომსახურება” ნიშნავს მომსახურებას, რომელიც არ აკმაყოფილებს როგორც რეგულარული საავტობუსო მომსახურებისა ან სპეციალური რეგულარული საავტობუსო მომსახურების, ისე მაქოსებური მომსახურების განსაზღვრებებს.

ის მოიცავს:

- a) გურებს, ანუ მომსახურებას, როდესაც ერთი და იგივე საგრანსპორტო საშუალება გამოიყენება მგზავრთა ერთი ან მეტი ჯგუფის გადასაცემად, და როდესაც თითოეული ჯგუფი ბრუნდება უკან თავისი გამგზავრების ადგილზე, ან
- b) მგზავრთა ჯგუფების მომსახურება, როდესაც მგზავრები არ ბრუნდებიან უკან გამგზავრების ადგილზე იმავე რეისის მეშვეობით, ან
- c) მომსახურებებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ზემოხსენებულ კრიტერიუმებს, ანუ ყველა დანარჩენი სახის მომსახურებებს.

8. ტერმინი “კომპეტენტური ორგანო” ნიშნავს

საქართველოსათვის:

გრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო
სახმელეთო გრანსპორტის ადმინისტრაცია

ბელგიის სამეფოსათვის:

კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მუხლი 3 ბაზარზე დაშვების პირობები

თითოეული ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ნება დართოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე დაფუძნებულ გადამზიდავს, აწარმოოს ტვირთებისა ან მგზავრების გადაზიდვები:

- a) მის ტერიტორიაზე განლაგებულ ნებისმიერ პუნქტსა და მისი ტერიტორიის გარეთ მდებარე ნებისმიერ პუნქტს შორის, და
- b) გრანზიგად მის ტერიტორიაზე,

რაც ექვემდებარება შესაბამისი ნებართვის გაცემას თითოეული მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ.

მუხლი 4 წონები და გაბარიტები

1. საგრანსპორტო საშუალების წონა და გაბარიტები უნდა შეესაბამებოდეს საგრანსპორტო საშუალების ოფიციალურად რეგისტრირებულ წონასა და გაბარიტებს და არ უნდა აღარბედეს მასპინძელ ქვეყანაში დაწესებულ ზღვრებს.
2. იმ შემთხვევაში, როცა ამ შეთანხმების დებულებით გათვალისწინებული გადაზიდვებისას, დატვირთული ან ცარიელი საგრანსპორტო საშუალების წონა დასან გაბარიტები აღარბებს მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ნებადართულ მაქსიმალურ ზღვარს, აუცილებელია კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა.

მუხლი 5 ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა

ხელშემკვრელი მხარის გადაზიდვები და მათი საგრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟები მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ყოფნისას უნდა დაემორჩილონ ამ უკანასკნელ ქვეყანაში მოქმედ კანონებსა და წესებს.

მუხლი 6 დარღვევები

მონაწილე მხარის გადაზიდვის მიერ ამ ხელშეკრულების დებულებათა დარღვევის შემთხვევაში, ხელშემკვრელმა მხარემ, რომლის ტერიტორიაზე მოხდა ეს დარღვევა, საკუთარი სასამართლო პროცედურებისათვის მიანის მიყენების გარეშე, უნდა აცნობოს ამის შესახებ შეთანხმების მონაწილე მეორე მხარეს, რომელმაც უნდა მიიღოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები ნებართვის ჩამორთმევისა ან მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე გადაზიდვების აკრძალვის ჩათვლით. ხელშემკვრელი მხარეები აცნობებენ ერთმანეთს მიღებული ზომების შესახებ.

მუხლი 7 ფისკალური საკითხები

1. საგრანსპორტო საშუალებები, მათი სათადარიგო ნაწილების ჩათვლით, რომლებიც ახორციელებენ გადაზიდვებს ამ შეთანხმების შესაბამისად, ურთიერთგაცვლილი ნებართვების საფუძველზე ორმხრივად უნდა იქნენ განთავისუფლებული ყველა გადასახადისა და მოსაკრებლისაგან, რომლებითაც იბეგრება საგრანსპორტო საშუალების ფლობა თუ მოძრაობა, ისევე როგორც ყველა სპეციალური გადასახადისა და მოსაკრებლისაგან საგრანსპორტო ოპერაციებზე, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.
2. ამ ხელშეკრულების ძალით განხორციელებული გადაზიდვები მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე ექვემდებარება ფასიანი საგზაო ინფრასტრუქტურისა და ხიდების გამოყენებაზე მოსაკრებლებითა და გადასახადებით დაბეგრვას. ადგილობრივი და არა-ადგილობრივი საგრანსპორტო ოპერატორები მოსაკრებლებითა და გადასახადებით იბეგრება არა-დისკრიმინაციულად.
3. საწვავი, რომელიც მოთავსებულია საგრანსპორტო საშუალების სტანდარტულ ავზში, ისევე როგორც საპოხი მასალა, რომელიც მოთავსებულია საგრანსპორტო საშუალებაში და განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ მისი ექსპლუატაციისათვის, ორმხრივად უნდა იქნეს განთავისუფლებული საბაჟო ბეგარისა და სხვა გადასახადებისა თუ მოსაკრებლებისაგან.
4. დროებით შემოგანილი საგრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად განკუთვნილი სათადარიგო ნაწილები დროებით უნდა იქნეს დაშვებული დროებითი იმპორტის უფლებით, საიმპორტო ბეგარისა და სხვა გადასახადების გადახდის გარეშე, და იმპორტზე არსებული აკრძალვებისა ან შეზღუდვების გარეშე. შეცვლილი ნაწილები უნდა განბაჟდეს, ან მოხდეს მათი რეექსპორტი ან განადგურდეს საბაჟოს კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ.

მუხლი 8 ერთობლივი კომიტეტი

1. ხელშემკვრელი მხარეების კომპეგენტური ორგანოები აწესრიგებენ ამ ხელშეკრულების განხორციელებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.
2. ამ მიზნით ხელშემკვრელი მხარეები ქმნიან ერთობლივ კომიტეტს.
3. ერთობლივი კომიტეტი იკრიბება რეგულარულად ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით.

4. ერთობლივი კომიტეტი აყალიბებს საკუთარ წესებსა და პროცედურებს და მონაცვლეობით იკრიბება თითოეული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ყოველი შეხვედრის შემდეგ ღვება ოქმი.

5. მე-3 მუხლიდან გამომდინარე ერთობლივი კომიტეტი ადგენს ნებართვების რაოდენობასა და ტიპს და ბაზარზე დაშვების პირობებს. მიუხედავად მუხლი 12, პარაგრაფი 2-ისა, ერთობლივ კომიტეტს შეუძლია განაგრძოს გადაზიდვების სახეობები, რომლებიც არ საჭიროებენ შესაბამის ნებართვის მიღებას.

6. ერთობლივმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ საკითხებს:

- ხელშემკვრელ მხარეებს შორის გადაზიდვების ჰარმონიულ განვითარებას, მათ შორის გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით;
- საგზაო სატრანსპორტო პოლიტიკისა და სატრანსპორტო კანონმდებლობის კოორდინაციას, მის დანერგვას ხელშემკვრელი მხარეების მიერ ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე;
- წარმოქმნილ პრობლემებზე შესაძლო გადაწყვეტათა ფორმულირებას. შესაბამისი ეროვნული ორგანოებისათვის, განსაკუთრებით ფისკალურ, საბაჟო და გარემოსდაცვითი საკითხებზე სამოგალოებრივი წესრიგის საკითხების ჩათვლით.
- შესაბამისი ინფორმაციის გაცვლას;
- წონებისა და გაბარიტების დადგენის მეთოდებს;
- სატრანსპორტო საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას;
- მულტიმოდალური გადაზიდვების ხელშეწყობას, ბაზრის მისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით.

ნაწილი II

მგზავრთა გადაყვანის დებულებები

მუხლი 9

რეგულარული მომსახურება

1. რეგულარულ მომსახურებაზე ნებართვის მისაღებად განაცხადი უნდა წარედგინოს იმ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, რომლის ტერიტორიაზეც დაფუძნებულია გადამზიდავი.

2. ნებართვების გაცემის გადაწყვეტილებას ერთობლივად იღებენ ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები, მათი გაცემა ხდება თითოეული მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ მის ტერიტორიაზე.

3. განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას ნებართვაზე თუ, სხვა დანარჩენთან ერთად:

- განმცხადებელს არ შეუძლია მის ხელთ უშუალოდ არსებული სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოს განცხადებაში მოყვანილი მომსახურება;
- წარსულში განმცხადებელი არ აკმაყოფილებდა ეროვნულ ან საერთაშორისო კანონმდებლობის საგზაო გადაზიდვებზე და კერძოდ, საერთაშორისო საგზაო სამგზავრო მომსახურებაზე ნებართვის მიღებასთან დაკავშირებულ პირობებსა და მოთხოვნებს, ან ჩადენილი აქვს საგზაო უსაფრთხოების კანონმდებლობის სერიოზული დარღვევები, განსაკუთრებით კი სატრანსპორტო საშუალებებთან ან მძღოლთა დასვენებისა და მანქანის მართვის პერიოდებთან დაკავშირებული წესების მიმართ;
- თუ ნებართვის განახლების თაობაზე წარდგენილი განცხადებისას, ნებართვის გაცემის პირობები დაკმაყოფილებული არ არის;
- განმცხადებელს არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ ჰყავს პარგნიორი მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოში.

4. გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის თაობაზე მიღებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ სრულყოფილი განცხადების მიღების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში.
5. ნებართვის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს არა უმეტეს ერთი წლისა და შეიძლება გაგრძელებულ იქნას მოთხოვნის საფუძველზე.
6. ნებართვა ან მისი ნაბმელი ასლი, დამოწმებული ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ, უნდა ინახებოდეს შესაბამის საგრანსპორტო საშუალებაში .

მუხლი 10 მაქოსებური მომსახურება

1. მაქოსებური მომსახურება დაბინავებით არ საჭიროებს ნებართვას იმ შემთხვევაში, თუ ის სრულდება ქართველი გადაზიდვის მიერ და ამ მომსახურებისათვის გამგზავრების პუნქტი მდებარეობს საქართველოში, ან თუ სრულდება ბელგიელი გადაზიდვის მიერ და გამგზავრების პუნქტი მდებარეობს ბელგიის სამეფოში.
2. მაქოსებური მომსახურება დაბინავების გარეშე გათანაბრებულია რეგულარულ მომსახურებასთან.
3. ამ მუხლის პარაგრაფ 1-ში მოხსენიებული მაქოსებური მომსახურების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სრულად შევსებული მგზავრთა სია.

მუხლი 11 არარეგულარული მომსახურებები

მე-2 მუხლის მე-7 ა) პუნქტში განსაზღვრული არარეგულარული მომსახურებები არ საჭიროებენ ნებართვას, თუკი რეისი იწყება იმ სახელმწიფოში, სადაც რეგისტრირებულია საგრანსპორტო საშუალება.

საგრანსპორტო საშუალებაზე უნდა იმყოფებოდეს სრულად შევსებული მგზავრთა სია.

ნაწილი III გვირთის გადაზიდვების დებულებები მუხლი 12

1. ნებართვა გვირთის გადაზიდვაზე გაიცემა ქვოტის ფარგლებში 1(ერთი) რეისისათვის (წინა და უკანა მგზავრობის) თითოეული და მისი მოქმედების ხანგრძლივობა შეადგენს 13 თვეს, დაწყებული ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრიდან, ნებართვა უნდა ინახებოდეს შესაბამის საგრანსპორტო საშუალებაზე.
2. გადაზიდვების შემდეგი სახეობები ან მათთან დაკავშირებული ცარიელი გარბენები არ საჭიროებენ ნებართვას;
 - a) პირადი ნივთები საოჯახო მეურნეობის გადაადგილებისას;
 - b) არაკომერციული ხასიათის საგნები, ხელოვნების ნიმუშები და აღჭურვილობა, რომელიც გამიზნულია მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე გამართული აუქციონებისა და გამოფენებისათვის.
 - c) საგნები და მასალები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ სარეკლამო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო დანიშნულებისათვის;

- d) მოწყობილობები, აქსესუარები და ცხოველები, თეატრალური, მუსიკალური, პროფესიონალური ფილმების, საცირკო წარმოდგენებისა და ბაზრობებისათვის, რომლებიც იმართება მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე;
- e) რადიოგადამცემი ან ხმის ჩამწერი მოწყობილობები, პროფესიული ტელე და კინო აპარატურა;
- f) გარდაცვლილთა ნეშთი ან ფერფლი;
- g) საფოსტო გადაზიდვები, როგორც საზოგადოებრივი მომსახურება;
- h) დაზიანებული ან მწყობრიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალებების გადაზიდვები;
- i) ფუტკრების ან ლიფსიგების გადაზიდვები;
- j) გვირთების გადაგანა იმ ავგოსაგრანსპორტო საშუალებებით, რომელთა ნებადართული დაგვირთული წონა, მისაბმელის ჩათვლით, არ აჭარბებს 6 ტონას, ან რომელთა დასაშვები გვირთი მისაბმელის ჩათვლით, არ აჭარბებს 3,5 ტონას;
- k) სამედიცინო გვირთისა და აღჭურვილობის, ან სხვა სახის გვირთების გადაზიდვები საგანგებო შემთხვევების, განსაკუთრებით, ბუნებრივი კატასტროფების დროს.

3. თითოეული ნებართვა უნდა შეივსოს რეისის დაწყებამდე. ნებართვაზე უნდა დაისვას ბეჭედი საბაჟო ორგანოების მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შესვლისას

იმ შემთხვევაში, თუ ხდება საზღვრის გადაკვეთა ისეთ ადგილას, სადაც არ არის საბაჟო, მძღოლმა ნებართვაში იმ ადგილას, სადაც ხდება საბაჟო ბეჭდის დასმა, მელნიით უნდა ჩაწეროს საზღვრის გადაკვეთის ადგილი, თარიღი და საათი.

4. მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, განცხადება სპეციალური ნებართვის მისაღებად იმ დაგვირთული საგრანსპორტო საშუალებისათვის, რომლის წონა და გაბარიტებიც აჭარბებს მასპინძელი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ნებადართულ ზღვარს, უნდა შეიცავდეს:

- a) ოპერატორის დასახელებასა და მისამართს;
- b) საგრანსპორტო საშუალების მწარმოებელს, ტიპსა და სახელმწიფო ნომერს;
- c) ღერძების რაოდენობას და ღერძებს შორის მანძილს;
- საგრანსპორტო საშუალების გაბარიტებსა და წონას;
- d) გვირთამწეობას;
- f) გვირთის გაბარიტებსა და წონას;
- g) საჭირო შემთხვევაში საგრანსპორტო საშუალების სურათს ერთად;
- h) დაგვირთვას თითოეულ ღერძზე;
- i) ჩაგვირთვის და გადმოგვირთვის მისამართებს;
- j) საზღვრის გადაკვეთის დაგეგმილ ადგილსა და თარიღს, ასევე მოძრაობის მარშრუტს.

ნაწილი IV დასკვნითი დებულებები

მუხლი 13 ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის თითოეული ხელშემკვრელი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა საჭირო პროცედურის შესრულების თაობაზე უკანასკნელი შეწყობინების მიღების შემდეგ.
2. ეს შეთანხმება მოქმედებს მისი ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში. ამის შემდგომ, შეთანხმება თავისთავად გრძელდება წლიდან წლამდე, სანამ რომელიმე

ხელშემკვერელი მხარე მისი გაგრძელების თარიღამდე ექვსი თვით ადრე არ გააგზავნის დიპლომატიური არხებით წერილობით შეტყობინებას თავისი განზრახვის შესახებ შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება.

რის დასტურადაც, სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემოთ ხელმოწერებმა, მოაწერეს ხელი ამ შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. ბრიუსელში, 2002 წლის 19 მარტს ორ პირად, თითოეული ქართულ, ფრანგულ, ფლამანდურ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტიკურია. უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით

ბელგიის სამეფოს მთავრობის სახელით